იძულებითი ქორწინების სისხლისსამართლებრივი რეგულირება და გამოწვევები

ნინი ახობაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გეგელია-სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

23.06.2025

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის სახით წარმოდგენილი კვლევა უკავშირდება იძულებითი ქორწინების სისხლის სამართლებრივ რეგულირებას და მასთან დაკავშირებულ სისტემურ გამოწვევებს საერთაშორისო და ქართული სამართლის კონტექსტში. კვლევა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ქორწინების იძულება არის გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაული, რომელსაც წინ უძღვის მავნე სოციალური პრაქტიკა, პატრიარქატი. დღეს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ზიანის მომტანი პრაქტიკა, სამართლის მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ექცევა, ვინაიდან ფაქტია, რომ არსებული მოწესრიგება ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვას. წინამდებარე ნაშრომის მიზანი არის ის, რომ ფაქტებზე დაყრდნობილი მტკიცებულებებით გამოიკვეთოს პრობლემის აქტუალობა, რომელიც გამოწვეულია ქორწინების იძულების შეუსაბამოდ რბილი მოწესრიგებით. ქორწინების მავნე პრაქტიკისგან დაცვას განსაკუთრებით საჭიროებს, მოწყვლადი ჯგუფი, არასრულწლოვნები, რომლებიც თანამედროვეობაშიც ხდებიან კულტურის, ტრადიციების და მავნე სოციალური მიდგომების მსხვერპლნი. ხოლო იძულების დახვეწილ (უხილავ) ფორმებს კი სჭირდებათ სამართლებრივი შეფასება. ვითარების შეცვლის აუცილებლობა სახეზეა, რომელიც დასტურდება წინამდებარე ნაშრომით, ვინაიდან დაზარალებულთა ოდენობა არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ უკვე არსებული რეგულაციები ეფექტურად იბრძვის დანაშაულის წინააღმდეგ. კვლევის მიხედვით, იდენტიფიცირებული პრობლემების მთავარი წყარო ზიანის მომტანი კულტურული პრაქტიკების ტრივიალიზება და ადეკვატური სამართლებრივი შეფასების არარსებობაა. წინამდებარე ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ცვლილებათა ინიციატივა, რომლის განხორციელების შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება გადადგმული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრისთვის.

Abstract

This thesis presents a study on the criminal regulation of forced marriage and the systemic challenges associated with it in the context of both international and Georgian law. The research is grounded in the view that forced marriage constitutes a gender-based crime, rooted in the harmful social practice of patriarchy. As a form of violence now globally recognized as harmful, forced marriage has increasingly drawn the attention of legal scholars, especially as existing legal frameworks have proven inadequate in ensuring the effective protection of fundamental human rights and freedoms. The primary aim of this research is to highlight, through evidence-based analysis, the urgency of the problem resulting from the overly lenient legal treatment of forced marriage. Protection from such harmful practices is particularly vital for vulnerable groups, especially minors, who continue to fall victim to culture, tradition, and harmful social norms. Moreover, more refined (and often invisible) forms of coercion require precise legal recognition and assessment. The necessity of change is evident, as demonstrated by this thesis: the growing number of victims indicates that existing regulations do not adequately combat this crime. According to the study, the core issue lies in the trivialization of harmful cultural practices and the lack of appropriate legal evaluation. The final part of this thesis offers a set of legislative reform proposals, implementation of which would mark a significant step toward eliminating forms of discrimination against women.